საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5997
10/10/2022

5997-21-2-202210101226

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა №19
ელ. ფოსტა: mariam.mchedlishvili@energo-pro.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4328 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ეგხ „ჩოლურის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება).

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- Shp ფაილებში ასახული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, N68 საყრდენის განთავსება დაგეგმილია არსებული საყრდენის ადგილას, ხოლო სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებში აღნიშნული საყრდენის განთავსების ორი წერტილია წარმოდგენილი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი გამოყენების საკითხებთან დაკავშირებული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში - სამუშაოები დაიგეგმება და განხორციელდება ტექნიკური რეგლამენტის პირობების მკაცრი დაცვით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშს არ ახლავს ინფორმაცია საპროექტო დერეფნის არეალში, დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედებით საშიში გეოლოგიური პროცესების არსებული მდგომარეობისა და მომავალში მათი შესაძლო გააქტიურების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო დერეფანში ფიქსირდება რამდენიმე მეწყრული სხეული, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო